

საქართველოს პარლამენტის
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის
სამოქმედო გეგმა
2019

2019

სარჩევი

შესავალი	3
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი: მისია, ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები	4
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა.....	9
სტრატეგიული მიზანი 1. ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება.....	9
სტრატეგიული მიზანი 2. ევროკავშირთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში მონაწილეობა	46
სტრატეგიული მიზანი 3. კომიტეტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება	48
სტრატეგიული მიზანი 4. ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის გაუმჯობესება	54
სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და კომიტეტის ორგანიზაციული განვითარება	59
დანართი I. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვადები.....	62

შესავალი

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს განსაზღვროს კომიტეტის საქმიანობის მიმართულებები შემდგომი ერთი წლის განმავლობაში. გეგმაში ასახულია კომიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად კომიტეტის კანონშემოქმედებითი, საზედამხებდევლო, საორგანიზაციო და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიმართულებით დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები, ინდიკატორები, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი და მასში ჩართული მხარეები, ასევე ერთი მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) განხორციელებასთან დაკავშირებული აქტივობები.

სამოქმედო გეგმა ემყარება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტსა და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის დებულებას, ასევე ასოცირების შეთანხმებას და სხვა ჩარჩო დოკუმენტებს, რომელთა შესრულებაშიც კომიტეტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. კერძოდ, ეს დოკუმენტებია:

- საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი;
- ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

მეთოდოლოგია

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გაანალიზდა კომიტეტის ბოლო წლების მუშაობის პრაქტიკა; კომიტეტის 2012-2013, 2013-2014, 2014-2015, 2015-2016, 2016-2017, 2017-2018 წლების საქმიანობის ანგარიშები; 2012-2018 წლებში საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებული კანონპროექტების ნუსხა; ასოცირების შეთანხმება; პარლამენტის რეგლამენტი; კომიტეტის დებულება;¹ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები პარლამენტის საქმიანობის შესახებ; 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხა.

¹ იხ. <http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/evropastan-integraciis-komiteti-143/debuleba1910>

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი: მისია, ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები

პარლამენტში 2004 წლიდან ფუნქციონირებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, რომლის მიზანია საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

კომიტეტის მისიაა, საკუთარი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას და ამ მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრას.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ასოცირების შეთანხმების, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგისა და მისი განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით კანონპროექტებზე დასკვნების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით; ასოცირების საპარლამენტო კომიტეტისა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საპარლამენტო ასამბლეის (ევრონესტი) მუშაობის ხელმძღვანელობა; მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის, ასევე საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტროლი. კომიტეტი ასევე ახორციელებს საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ანალიტიკურ საქმიანობას, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის პოპულარიზაციის მიზნით.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სტრატეგიული მიზნებია:

სტრატეგიული მიზანი 1. ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

1.1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება;

1.2 საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაცია.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. კომიტეტი ჩართულია კანონპროექტების განხილვისა და მიღების მიზანშეწონილობის შეფასების პროცესში და ამას ახორციელებს მასზე შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადების საშუალებით.

კომიტეტი ნორმატიული აქტების განხილვისას ხელმძღვანელობს: ასოცირების შესახებ შეთანხმებით (რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს), ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში განსაზღვრული საკითხებით.

ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. საკანონმდებლო დაახლოების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის კომიტეტი რეგულარულად ერთვება პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვაში, რათა მოამზადოს დასკვნა საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისობაზე ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

მერვე მოწვევის პარლამენტის მუშაობის პერიოდში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა სხდომებზე განიხილა 62 კანონპროექტი, მე-9 მოწვევის (2016-2017წწ) პერიოდში - 19 კანონპროექტი, ხოლო (2017-2018წწ) პერიოდში 45 კანონპროექტი (თანმდევ პროექტებთან ერთად).

იმის გათვალისწინებით, რომ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების (ევროკავშირის რეგულაციებთან, დირექტივებთან, გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია) თითქმის ნახევრის შესრულება საქართველოს სწორედ მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადებში უწევს, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ჰარმონიზაციის პროცესი, რაც დაეხმარება საქართველოს პარლამენტს ასოცირების შეთანხმების შესრულების მიმართულებით საკუთარი საქმიანობის უკეთ წარმართვაში, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა და მოსახლეობისთვის ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში.

კომიტეტი კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან (შემდგომში “ეროვნული პლატფორმა”). აღნიშნული თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციისა და განმტკიცების მიზნით, ეროვნულ პლატფორმასა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიული მიზანი 2. ევროკავშირთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში მონაწილეობა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანაა:

2.1 საპარლამენტო დიპლომატიის განხორციელება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი საპარლამენტო დიპლომატიის გზით ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერაა.

რაც გულისხმობს:

- საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ინფორმირებას;
- ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან;
- ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას;
- საერთაშორისო და რეგიონულ ღონისძიებებში მონაწილეობას;
- ევროპარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფებთან თანამშრომლობას.

კომიტეტი საქართველოს პარლამენტში ორ მნიშვნელოვან მუდმივმოქმედ დელეგაციას ხელმძღვანელობს. ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საპარლამენტო ორგანოა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრებისა და ევროპარლამენტარების მონაწილეობით საპარლამენტო ზედამხედველობას უწევს ასოცირების შეთანხმების განხორციელებას და უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას. აგრეთვე კომიტეტი კოორდინირებას უწევს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მუშაობას ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოქმედი მრავალმხრივი საპარლამენტო პლატფორმაა.

კომიტეტი აქტიურია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. ამასთან, კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედი საპარლამენტო დელეგაციები ჩართულნი არიან შესაბამისი თემატური შეხვედრების, კომიტეტების თუ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

საპარლამენტო დიპლომატიის განხორციელების მიმართულებით, კომიტეტის საქმიანობის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში, ასახულია ღონისძიებები, რომლის შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესისა და საპარლამენტო კავშირების განვითარებას.

სტრატეგიული მიზანი 3. კომიტეტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

3.1. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა და ევროკავშირთან დაახლოების პროცესში აღებული სხვა ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა;

3.2. კომიტეტის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანობის გაზრდა.

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისა და საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

კომიტეტი ზედამხედველობს ასოცირების შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესის მიმდინარეობას.

საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა უწყებებთან. კომიტეტი, ცალკე ან დარგობრივ კომიტეტებთან ერთად, რეგულარულად ისმენს საქართველოს მთავრობის წევრების, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების წარმომადგენლების ანგარიშებს ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. სხდომებში მონაწილეობას იღებენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის, უმაღლესი სტატუსის მქონე პირები, ასევე, შესაბამისი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

კომიტეტი დარგობრივ კომიტეტებთან ერთად შეისწავლის და სამუშაო შეხვედრებსა და კომიტეტის სხდომებზე განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებულ ალტერნატიულ ანგარიშს „ასოცირების დღის წესრიგის შესრულება - სამოქალაქო საზოგადოების შეფასება“, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მონიტორინგის დამატებით საშუალებას წარმოადგენს.

ზედამხედველობის ერთ-ერთი ინსტრუმენტია საქართველოს პარლამენტის საკუთრებაში არსებული ვებპორტალი - www.aa.ge., რომლის ტექნიკურ და შინაარსობრივ ზედამხედველობას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი უზრუნველყოფს.

ვებპორტალზე ხელმისაწვდომია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები და დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულებით განსაზღვრული რეგულაციების, დირექტივების, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

პორტალი იძლევა მარტივი და მოქნილი მონიტორინგის საშუალებას და არის საჭირო და საინტერესო ინფორმაციის წყარო ფართო საზოგადოებისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მიაღწეოს თვალი ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საერთო პრიორიტეტების ამოქმედების ვადებს და შეაფასოს პროგრესი თითოეული მიმართულებით.

პორტალი ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესს გამჭვირვალეს ხდის და, ამავე დროს, ფართო საზოგადოებისათვის სასარგებლო და საინტერესო ინფორმაციის წყაროა.

იმის გათვალისწინებით, რომ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების უმრავლესობა მე-9 მოწვევის პარლამენტის მუშაობის პერიოდში უნდა შესრულდეს, მნიშვნელოვანია საზედამხედველო საქმიანობის პროცესის უფრო გააქტიურება.

კომიტეტის საქმიანობის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის მიზნით, დაგეგმილია საკომიტეტო მოსმენები, რაც უფრო ეფექტურს გახდის პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობას.

სტრატეგიული მიზანი 4. ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის გაუმჯობესება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

4.1 ევროინტეგრაციის პროცესის და მისი პოზიტიური შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

4.2 ევროინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის პროცესის მართვა და გაუმჯობესება.

საქართველოს პარლამენტში ევროპული მიმართულების გაძლიერებისა და განვითარების, აგრეთვე, ევრო-ინტეგრაციის პროცესის პოპულარიზაციის მიზნით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ანალიტიკური საქმიანობაა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით კომიტეტი აწარმოებს მრავალმხრივ საქმიანობას: ხვდება მოქალაქეებს, იხილავს მათ განცხადებებს, ახორციელებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროექტებს, თანამშრომლობს საქართველოში ფუნქციონირებად საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო სკოლებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კომიტეტს დაგეგმილი აქვს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და საჯარო სკოლების სტუდენტებსა და მოსწავლეებთან შეხვედრები/საჯარო ლექციები, „ევროპა კარდაკარ“ - შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, თემატური კამპანიების ჩატარება, ევროპის დღეების აღნიშვნა, სტუდენტური და მოსწავლეთა კონკურსების ორგანიზება ევროინტეგრაციის თემაზე, ფოტო და ნახატების კონკურსის ჩატარება, ასევე მედიაკონკურსის ჩატარება რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა

N	აქტივობა / ღონისძიება	ასოცირების შეთანხმებით ან/და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ვალდებულება	კომიტეტიდან პასუხისმგებელი პირი	სხვა მონაწილე მხარე	განხორციელების ვადა	ინდიკატორი	შენიშვნა
---	-----------------------	--	---------------------------------	---------------------	---------------------	------------	----------

სტრატეგიული მიზანი 1. ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება

ამოცანა 1.1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

1.	მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხის ანალიზი და კომიტეტის სამოქმედო გეგმაში ასახვა		კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმაში ცვლილებები ასახულია	
2.	ეროვნულ პლატფორმასთან თანამშრომლობა კანონპროექტებთან დაკავშირებით		კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა აპარატი: ნ. ხუციშვილი თ. ხინთიბიძე	ეროვნული პლატფორმა	რეგულარულად	შეხვედრების რაოდენობა; განხილული წინადადებების რაოდენობა	

ამოცანა 1.2. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაცია

გარემოს დაცვა

3.	„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონი პროექტის, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტების განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი VI, თავი 3, მუხლი 306, დანართი XXVI, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვა 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას.	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	საკანონმდებლო პაკეტი მიღებულია	
4.	„ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	DCFTA: მუხლი 230 (2) 2009/147/EC დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ 92/43/EC დირექტივა - „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“,	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი აგრარულ საკითხთა კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	კანონი მიღებულია	

5.	„საქართველოს ტყის კოდექსის“ განხილვა	DCFTA: მუხლი 233	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კოდექსი მიღებულია	
6.	„ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	
7.	„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	ასოცირების შესახებ შეთანხმების 234-238 მუხლები	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	

	და „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტების განხილვა		ი. წულუკიძე	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი			
8.	წყლის სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმის განხორციელება მათ შორის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ 91/271/ EC დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ 98/83/EC დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ 91/676/EEC დირექტივა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ 2007/60/EC დირექტივა წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ 2008/56/EC დირექტივა საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლიდან ეტაპობრივად	გატარებულია შესაბამისი რეფორმა	კანონი მიღებულია

9.	„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი VI, თავი 3, მუხლი 306, დანართი XXVI, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვა 2008/50/EC დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ 2004/107/EC დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონში ცვლილებები მიღებულია	
10.	„სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი VI, თავი 3, მუხლი 306, დანართი XXVI, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვა 96/82/EC დირექტივა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	

11.	„თევზჭერის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	DCFTA: მუხლი 234	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო - საშემოდგომო სესია	კანონი შემუშავებული და მიღებულია	
კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები							
12.	„ფტორირებული სათბური აირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა	842/2006 რეგულაცია ზოგიერთი ფტორირებული სათბურის გაზების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საშემოდგომო სესია	კანონი შემუშავებული და მიღებულია	

13.	„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	1005/2009 რეგულაცია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ.	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: ნ. ნატროშვილი	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საშემოდგომო სესია	კანონი შემუშავებული და მიღებულია	
-----	---	---	--	---	-----------------------------	----------------------------------	--

სურსათის უვნებლობა²

14.	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება, DCFTA, დანართი IV, ნაწ. 3.	კომიტეტის წევრ(ებ)ი: გ. გაჩეჩილაძე აპარატი: თ.ჭუმბურიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო სსიპ- საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია სსიპ - შემოსავლების სამსახური აგრარულ საკითხთა კომიტეტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	
-----	---	---	--	---	---	----------------------	--

² 2019 წელს სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება ძირითადად დაგეგმილია კანონქვემდებარე აქტების მიღებით.

ვეტერინარია ³						
15.	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება, DCFTA, დანართი IV, ნაწ. 1.	კომიტეტის წევრ(ებ)ი: ზ. ხუციშვილი აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო სსიპ- საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია სსიპ - შემოსავლების სამსახური აგრარულ საკითხთა კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია

მცენარეთა დაცვა ⁴						
16.	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით მცენარეთა დაცვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	DCFTA, დანართი IV, ნაწ. 2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS);	კომიტეტის წევრ(ებ)ი: ზ. ხუციშვილი აპარატი: ნ. ნატროშვილი ი. წულუკიძე	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია

³ 2019 წელს ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება ძირითადად დაგეგმილია კანონქვემდებარე აქტების მიღებით.

⁴ 2019 წელს მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება ძირითადად დაგეგმილია კანონქვემდებარე აქტების მიღებით.

				სსიპ- საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია სსიპ - შემოსავლების სამსახური აგრარულ საკითხთა კომიტეტი			
ენერგეტიკა							
17.	„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 300, დანართი XXV, ელექტროენერგია; ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ N 714/2009 (EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანს- სასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N 1228/2003 (EC) N 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N 1775/2005	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა გ. გაჩეჩილაძე აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო ევროკავშირი ენერგეტიკისთვის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	

		2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი აირის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ 2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ					
18.	„ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	
19.	„ენერგო ეტიკეტირების შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	2010/30/EU დირექტივა ენერგომოხმარების პროდუქტების მიერ მოხმარებული ენერგიისა და სხვა წყაროების ეტიკეტირების და პროდუქციის თაობაზე სტანდარტული ინფორმაციის მითითების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	

				სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი			
20.	განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისებაზე საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	2009/28/EC დირექტივა განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა გ. გაჩეჩილაძე აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	
21.	„სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა გ. გაჩეჩილაძე აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	კანონი მიღებულია	

22.	„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვა	94/22/EC დირექტივა ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ.ხულორდავა გ. გაჩეჩილაძე აპარატი: თ.ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	
-----	--	---	--	--	-----------------------------	----------------------	--

ტრანსპორტი

23.	„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტების განხილვა	2006/126/EC დირექტივა მართვის მოწმობების თაობაზე	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	
-----	--	--	---	--	-----------------------------	----------------------	--

24.	„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა	1071/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	
25.	„საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის განხილვა	1370/2007 რეგულაცია საზოგადოებრივი სამგზავრო სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს რკინიგზა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	

26.	მოდრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილების განხილვა	2002/15/EC, დირექტივა მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო სს საქართველოს რკინიგზა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	
27.	ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში საგზაო, სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში უსაფრთხოების პირობებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილების განხილვა	2006/22/EC დირექტივა საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ 913/2010 რეგულაცია (ევროკავშირი) კონკურენტული ტვირთისთვის ევროპული სარკინიგზო ქსელის თაობაზე 2007/59/EC დირექტივა იმ მატარებლის მემანქანეთა სერთიფიცირების შესახებ, რომლებიც მართავენ ლოკომოტივებსა და	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო სს საქართველოს რკინიგზა დარგობრივი ეკონომიკისა და	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	

		მატარებლებს გაერთიანების სარკინიგზო სისტემაში 2008/68/EC დირექტივა სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირების შესახებ		ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი			
საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი							
28.	“საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	392/2009 რეგულაცია, რომელიც ეხება უზედური შემთხვევების დროს ზღვით მგზავრების გადამყვანთა პასუხისმგებლობას	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	

29.	„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	336/2006 რეგულაცია, ევროკავშირის გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო- საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	
30.	სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესების დანერგვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	2009/45/EC დირექტივა სამგზავრო გემების უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების შესახებ	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო- საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	

31.	მეზღვურთა სამუშაო დროის ორგანიზების თაობაზე კანონმდებლობაში ცვლილებების ასახვა	1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება “მეზღვურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ” შეთანხმებას 1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	
32.	საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	1999/35/EC რეგულარული სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდავი ბორნის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის სავალდებულო შემოწმების სისტემისა და მაღალსიჩქარიანი სამგზავრო გემის მომსახურებების შესახებ 2001/96/EC დირექტივა, რომლითაც ჩამოყალიბდა სატვირთო გემებზე ტვირთის უსაფრთხო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ჰარმონიზებული მოთხოვნები და პროცედურები 2000/59/EC დირექტივა ნავსადგურში გემების მიერ გენერირებული და ტვირთების ნარჩენების	კომიტეტის წევრ(ებ)ი: თ. ხულორდავა აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	

		მიმღები მოწყობილობების შესახებ 2010/65/EU დირექტივა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნავსადგურებში შემოსული ან/და ნავსადგურებიდან გასული გემების ფორმალობებთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ					
საპაერო სივრცე							
33.	საპაერო სივრცის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	ასოცირების შესახებ შეთანხმება. დანართი XXIV საპაერო ტრანსპორტი ერთიანი საპაერო სივრცის შესახებ” შეთანხმება. დანართი III;	კომიტეტის წევრ(ებ)ი: შ.ხაბარელი აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	ცვლილებები მიღებულია	
34.	„საქართველოს საპაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა	1321/2014 საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნების შესახებ.	კომიტეტის წევრ(ებ)ი: შ.ხაბარელი აპარატი: თ. ჩიტაია	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2019 წლის საგაზაფხულო სესია	ცვლილებები მიღებულია	

				სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი			
მომხმარებელთა პოლიტიკა							
35.	კომიტეტის მიერ ინიცირებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავება და განხილვა	98/6/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების ფასების მითითებისას 2009/22/EC დირექტივა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ 2005/29/EC დირექტივა, შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ ("დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ") 2006/2004 რეგულაცია მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ (რეგულაცია მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ) 2006/114/EC შეცდომაში შემყვანი და შედარებითი რეკლამის შესახებ	<i>კომიტეტის წევრ(ებ)ი:</i> თ. ხულორდავა ბ.ნაცვლიშვილი <i>აპარატი:</i> თ. ჭუმბურიძე	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ კონკურენციის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო- საშემოდგომო სესია	კანონი მიღებულია	

		1999/44/EC დირექტივა სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ 93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ					
36.	„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა	2015/2302 დირექტივა მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ 2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით	<i>კომიტეტის წევრ(ებ)ი:</i> თ. ხულორდავა ბ.ნაცვლიშვილი <i>აპარატი:</i> თ. ჭუმბურიძე	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ კონკურენციის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო- საშემოდგომო სესია	კანონი მიღებულია	

37.	მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებებისა და ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა	2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ 2008/48/EC დირექტივა მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ	<i>კომიტეტის წევრ(ებ)ი:</i> თ. ხულორდავა ბ.ნაცვლიშვილი <i>აპარატი:</i> თ. ჭუმბურიძე	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ კონკურენციის სააგენტო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	2019 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია	კანონი მიღებულია	
დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები							
